თსუ მეცნიერება
TSU Science

დეკემბერი.2012.December

N3

თსუ მეცნიერის წვლილი გეომეტრიული ფიგურების აღგებრული ოპერაციებით განსაზღვრაში
Contribution of a TSU Scholar in Determining the Algebraic Operations of Geometrical Figures

თაობები და ღირებულებები
Generations and Values

საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში
The Socio-Cultural Environment of International Business in Georgia

მანგანუმით დაბინძურებული გარემოს გავლენა ბავშვების ჯანმრთელობაზე
Impact of manganese-polluted environment on children's health

საქართველოს ტერიტორიის გეოეკოლოგიური თავისებურებები
Geo-Ecological Features of Georgia

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვის, შესწავლისა და ანალიზასათვის
The Introduction, Study and Analysis of Trial by Jury

XII საუკუნის ქართული მონეტა - ტოლერანტობის სიმბოლო
Georgian Coins of the 12th Century – Symbols of Tolerance

სარჩევი - Contents

თაობები და ღირებულებები	4	Generations and Values
აივ/შიდსის საკითხების გაშუქება და სტიგმა/დისკრიმინაცია მედიაში	10	Georgian Media Coverage of HIV/AIDS issues, stigma and discrimination
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების საჭიროებები და გამოწვევები	14	Studying the Challenges of Families with Children and Youth with Disabilities in Georgia
ბაქტერიოფაგების და ანტიბიოტიკების გავლენა ბაქტერიებზე - ქართული მეცნიერების ყველევის საგანი	20	The Influence of Bacteriophages and Antibiotics on Bacteria – Georgian Scientific Research
სამედიცინო გენეტიკა - მოლეკულური გენეტიკის საფუძვლებით	23	Medical Genetics according to the Principles of Molecular Genetics
თსუ მეცნიერის წვლილი გეომეტრიული ფიგურების ალგებრული ოპერაციებით განსაზღვრაში	27	Contribution of a TSU Scholar in Determining the Algebraic Operations of Geometrical Figures
საქართველოს ტერიტორიის გეოეკოლოგიური თავისებურებანი	30	Geo-Ecological Features of Georgia
საქართველოს ეროვნული ატლასი	34	The National Atlas of Georgia
ქართველ ქიმიკოსთა ახალი სიტყვა კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში	36	New Word of Georgian Chemists in the Fight Against Corrosion
ქართულ ისტორიულ წყაროებში შენახული კავკასიის ისტორია	41	The History of the Caucasus as Preserved in Georgian Sources
XII საუკუნის ქართული მონეტა - ტოლერანტობის სიმბოლო	44	Georgian Coins of the 12th Century – Symbols of Tolerance
გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეული - ქართველი ავტორისგან	48	German Grammar in Four Volumes – from Georgian Author
"ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი" ქართველი სტუდენტებისთვის	53	"Introduction to Literary Studies" for Georgian Students
საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში	57	The Socio-Cultural Environment of International Business in Georgia
საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირები - ინოვაციური განვითარების უმოკლესი გზა	60	International Educational and Scientific Links of Georgia – the Shortest Path to Innovative Development

თსუ მეცნიერება
TSU SCIENCE
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
Scientific-Popular Journal

სარედაქციო საბჭო
Editorial Board

ალექსანდრე კვიტაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
Alexander Kvitashvili – Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ლევან ალექსიძე – თსუ რექტორის მოადგილე
Levan Aleksidze – Deputy Rector
გიორგი ღვედაშვილი – სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტის უფროსი
Giorgi Gvedashvili – Head of Department of Scientific Research and Development.
დარეჯან თვალთვაძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
Darejan Tvaltvadze – Dean of Faculty of Humanities
ირაკლი ბურდული – თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი
Irakli Burduli – Dean of Faculty of Law
ალექსანდრე ცისკარიძე – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
Alexander Tsiskaradze – Dean of Faculty of Medicine
რამაზ ბოჭორიშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
Ramaz Bochorishvili – Dean of Faculty of Exact and Natural Sciences
ანდრო ბარნოვი – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
Andro Barnovi – Dean of Faculty of Social and Political Sciences
აკაკი ხელაძე – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
Akaki Kheladze – Dean of Faculty of Economics and Business
ნანა მამაგულიშვილი – თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი
Nana Mamagulishvili – Head of Public Relations Department

რედაქტორი
Editor
თამარ ხორბალაძე
Tamar Khorbaladze

ნომერზე მუშაობდნენ:
Contributors:
მარი ელენ ჩატვინი **Mary Ellen Chatwin**
ლელა მჭედლიძე **Lela Mchedlidze**
ქეთევან გაბოშვილი **Ketevan Gaboshvili**
თინათინ ტაბიძე **Tinatin Tabidze**
ნათია ალადაშვილი
Natia Aladashvili

დიზაინი
Design
ზაზა გულაშვილი
Zaza Gulashvili
ნინო ქუთათელაძე
Nino Kutateladze

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
დეკემბერი, 2012

TSU Public Relations Department
December, 2012

ბრონქული ასთმის პროგნოზირების მათემატიკური მოდელირება	65	Mathematical Modeling of Bronchial Asthma Prognosis
მანგანუმით დაბინძურებული გარემოს გავლენა ბავშვების ჯანმრთელობაზე	68	Impact of manganese-polluted environment on children's health
თმის სოკოს გავრცელების გეოგრაფია საქართველოში	72	Research on fungal disease: Mycosis in Georgia
"ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვის, შესნავლისა და ანალიზისათვის"	76	The Introduction, Study and Analysis of Trial by Jury
სხვაობა და მსგავსება ქართული და ევროპული სამართალის შორის	81	Differences and Similarities between Georgian and European Laws
თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი	86	TSU Elepter Andronikashvili Institute of Physics
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი	90	M. Nodia Institute of Geophysics at Tbilisi State University
თსუ საერთაშორისო კონფერენციები: 2011 ივნისი-დეკემბერი	94	TSU International Conferences: June-December 2012
თსუ ფაკულტეტებზე 2012 წელს დაცული დისერტაციები	97	The Dissertations Defended at TSU Faculties in 2012
95 წელი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან	101	95 Years since the Establishment of the First Georgian University

გარეკანზე: სულხან-საბას ატლასი, რომელიც 1716 წელს ევროპიდან დაბრუნებულმა ქართლის ელჩმა თან ჩამოიტანა. ატლასზე დატანილია სულხან-საბას მიერ შესრულებული ქართული წარწერები.
On the cover: Detail from Sulkhan-Saba's atlas, which the Ambassador of Kartli brought upon his arrival from Europe in 1716. The atlas depicts Georgian inscriptions made by Sulkhan-Saba.

ძვირფასო მკითხველო,

2013 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 წელი სრულდება. ამ თარიღს უნივერსიტეტი სიამაყითა და კრძალვით ხვდება: თსუ რჩება ნომერ პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტად, რომელზეც არჩევანს საქართველოში ყველაზე მეტი და ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტი აკეთებს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია მიმდინარე სამეცნიერო კვლევების მასშტაბითაც — თსუ ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებში მთლიანად საქართველოს მასშტაბით მიმდინარე კვლევების 35-40 პროცენტამდე ხორციელდება; პირველია უნივერსიტეტი სტუდენტების სამოქალაქო აქტივობითა და ცოცხალი ახალგაზრდული ცხოვრებითაც; პირველი უნივერსიტეტის შესაბამისია გამოწვევებიც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი საზოგადოების მოთხოვნა ყოველთვის განსაკუთრებულად მაღალია. თსუ ტრადიციულად იყო და დღემდე რჩება უმაღლესი განათლების სისტემისთვის ტონის განმსაზღვრელად. შესაბამისად, შემდგომი განვითარებისთვის, სტანდარტების ამაღლებისთვის ზრუნვა უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და საზრუნავია. ამ მიზანს ემსახურება ჟურნალიც „თსუ მეცნიერება", რომელიც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ასევე პირველი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემაა. მკითხველის წინაშე უკვე ჟურნალის მესამე ნომერია. ჟურნალი საზოგადოებას საშუალებას მისცემს წარმოდგენა შეიქმნას იმ მნიშვნელოვანი კვლევითი საქმიანობის შესახებ, რომელიც თსუ ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებში მიმდინარეობს.

ალექსანდრე კვიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

Dear Readers,

The 95th anniversary of the foundation of the first Georgian university will be celebrated in 2013. TSU will observe the date proudly as it remains the country's number one State University, which is still selected by the most and the best students. Tbilisi State University is also a leader in terms of scientific research–out of all scientific research in Georgia approximately 35 percent is carried out within TSU faculties and institutes. TSU also leads in student activities of all kinds, both on campus and in the community. However, challenges facing universities exist--public expectations for Tbilisi State University have always been especially high. TSU continues to play a significant role in the higher educational system and one of the key goals and tasks of the University is to continue raising its standards. TSU Science, the first scientific publication issued by any Georgian higher educational institution, contributes to this goal. In this third edition, the journal provides information and insights on the important research activities being carried out by TSU's faculties and institutes.

Alexander Kvitashvili

Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეული - ქართველი ავტორისგან



„გერმანული ენის გრამატიკის" ოთხტომეული არის თანამედროვე გერმანული ენის პირველი ფუნდამენტური, აკადემიური გრამატიკა, განკუთვნილი ქართულენოვან შემსწავლელთათვის. წიგნი ენის პრაქტიკულ გამოყენებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს: სალიტერატურო გერმანული ენის სისტემისა და მისი ფუნქციონირების სრულყოფილ აღწერას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პლანში; ზოგად კანონზომიერებათა და სრულყოფილ ენობრივ ფორმათა გვერდით ასევე ენის ელიფსური ფორმების, პერიფერიული მოვლენების, გამონაკლისი შემთხვევებისა და გადახრა-ანომალიების წარმოჩენას; ენობრივ ფენომენთა ანალიზს წერილობითი წყაროებიდან და ზეპირი მეტყველებიდან შერჩეულ ნიმუშებზე დაყრდნობით, უპირველესად საკუთრივ ლინგვისტური, მაგრამ ასევე ლინგვოპრაგმატული პოზიციებიდან, მათი საკომუნიკაციო დატვირთულობის, ტექსტში ფუნქციონირების, სტილური შეფერილობისა და სოციალური მარკირებულობის გათვალისწინებით." – ვკითხულობთ წიგნის შესავალში და უკვე გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ნაშრომის განაცხადზე, მის კონდიციებსა და პარამეტრებზე (მოცულობა 1850 გვ.). ნაშრომის ავტორი არის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი, დოქტორი მარინა (მარიკა) ანდრაზაშვილი.

German Grammar in Four Volumes – from Georgian Author

German Grammar in Four Volumes is the first fundamental, academic grammar of modern German language designed for Georgian learners. The book is oriented to practical use of the language and aims at describing comprehensively the literary German language system and its functioning from both theoretical and practical points of view; revealing ellipse forms of the language, peripheral phenomena, exclusions and anomalies along with natural phenomena and perfect linguistic forms; analyzing linguistic phenomena based on the samples from written sources and verbal speeches, first and foremost from linguistic, but also from lingo-pragmatic positions, taking into consideration their communication implications, functioning in the text, stylistic manner and social marking," reads the preface of the book that helps us create a certain imagination about the work, its conditions and parameters (volume 1850 pages). The author of the book is Dr. Marina (Marika) Andrazashvili, Professor at the Education-Scientific Institute of Western European Philology of the Faculty of Humanities at TSU.

წიგნის პირველი გამოცემა მზადდებოდა 1992–2003 წლებში, როცა მარიკა ანდრაზაშვილი შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის გერმანული და ნიდერლანდური ენათმეცნიერების მიმართულებაზე. მეორე, სრულიად გადამუშავებული და გავრცობილი ვერსია მომზადდა ასევე გერმანიაში, ავტორის შემოქმედებითი მივლინების ფარგლებში 2007–2009 წლებში მანჰაიმის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ნაშრომის ორივე გამოცემის შექმნასთან დაკავშირებული თანხები მთლიანად თავის თავზე აიღო გერმანულმა მხარემ. კერძოდ, გოეთე-ინსტიტუტმა უზრუნველყო პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები; მის ხორცშესხმას კი აფინანსებდნენ: გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, გერმანიის კათოლიკური აკადემიური გაცვლის სამსახური და ფრიც თიუსენის სახელობის ფონდები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი – და ეს ალბათ ნაშრომისთვის ყველაზე პირუთვნელი შეფასებაა – რომ ზემოხსენებული ოთხტომეული პირველი წიგნია საქართველოდან, რომელიც (გერმანულენოვანი მანუსკრიპტი-თურთ) შეტანილია მანჰაიმის გერმანული ენის ინტიტუტის ბიბლიოთეკის მუდმივ ფონდში და განთავსებულია ონლაინკატალოგში.

"გერმანული ენის გრამატიკის" პირველი ტომი (მორფოლოგია I) გვაცნობს ნაშრომის თეორიულ პრესუპოზიციებს, მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ამოსავალ პრინციპებს, მიზანსა და დანიშნულებას; ასევე, ნაშრომის სტრუქტურას და შემსწავლელთა საორიენტაციო ჯგუფს სათანადო მითითებებით წიგნით სარგებლობის შესახებ. ლინგვისტური შესავალი მოკლედ მიმოიხილავს გრამატიკის საგანს, მის მიმართებას ენისადმი, როგორც აღსაწერი ობიექტისადმი, განსაზღვრავს გრამატიკის ადგილს ენათმეცნიერულ დისციპლინათა შორის; განმარტავს ენის არსსა და ფუნქციებს, გამოყოფს ენობრივ დონეებსა და მათ ერთეულებს; იძლევა იმ ამოსავალ ტერმინთა დეფინიციას, რომლებიც ნაშრომის სამუშაო ერთეულებს ქმნის. I ტომის ძირითადი კორპუსი განიხილავს (მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრების ფარგლებში) ზმნას, არსებით სახელსა და არტიკლს მათთვის სპეციფიკური ფორმალურ-კატეგორიული, ფუნქციურ-სემანტიკური და სინტაქსური პარამეტრების გათვალისწინებით.

მეორე ტომი (მორფოლოგია II) წარმოგვიდგენს მეტყველების დანარჩენ ნაწილებს — ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას, წინდებულს, კავშირს, ნაწილაკს, შორისდებულს — მათი სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის, მორფოლოგიური მახასიათებლებისა და სინტაქსური პოტენციალის მიხედვით.

მესამე ტომი (სინტაქსი I) მარტივ წინადადებას ეძღვნება. ის განიხილავს მარტივი წინადადების სტრუქტურულ, საკომუნიკაციო და ფორმალურ ტიპებს; აღწერს სიტყვა-ფორმათა ურთიერთშეკავშირების გზებს შესიტყვებათა/სინტაგმათა და წინადადებათა მიღების მიზნით; გვაცნობს წინადადების წევრებსა და მათი განლაგების კანონზომიერებას წინადადების ფარგლებში (წინაველში, შუაველსა და უკანაველში) სინტაქსურ-სტრუქტურული და საკომუნიკაციო-პრაგმატული ასპექტების გათვალისწინებით; წარმოაჩენს წინადადების თემა-რემატულ ორგანიზების არსს ტექსტის აგებასთან მიმართებაში; გვაცნობს წინადადების მოდელირების წესებსა და გერმანული ენისთვის სპეციფიკურ წინადადების მოდელებს; აღწერს თავისებური აგებ-

The initial preparations over the first edition of the book were carried out in 1992-2003, when Marika Andrazashvili visited the Free University of Berlin, where she worked over the German and Dutch linguistics. The second edited and extended version was also prepared in Germany during the author's creative trip to the German Institute of Linguistics in Mannheim in 2007-2009. All the expenses related to the creation of the both editions were defrayed by the German side. In particular, the Goethe Institute carried out the project preparation works, whereas its implementation was financed by the German Academic Exchange Service; German Catholic Academic Exchange Service; and the Fritz Thyssen Foundation. It should be particularly noted that the above mentioned book in four volumes is the first work from Georgia, which (with its German manuscript) has been included in the permanent fund of the library of the Mannheim German Institute of Linguistics and has also been posted in an online catalogue.

The first volume of German Grammar (Morphology I) acquaints us with theoretical presuppositions of the work, methodological principles, basic principles, goals and purposes; as well as the structure of the work and an orientation group of the learners with relevant instructions about the use of the book. The linguistic preface briefly reviews the subject of grammar, its relation with the language, as a description object; determines the place of grammar among linguistic disciplines; explains the essence and functions of the language, distinguishes linguistic levels and their units; gives definitions of these basic terms, which create working units of the work. The key part of Volume I discusses verb, noun and article (as parts of speech) based on the formal-category, functional-semantic and syntactic parameters.

Volume II (Morphology II) presents the remaining parts of speech – adjective, numeral, pronoun, adverb, preposition, conjunction, interjection – according to their formation, structure, morphological characteristics and syntactic potential.

Volume III (Syntax I) is dedicated to a simple sentence. It discusses the structural, communication and formal types of a simple sentence; describes the ways of combination of words to receive syntagmas and sentences; introduces parts of a sentence and their structure in a sentence taking into consideration syntactic-structural and communication-pragmatic aspects; highlights the sense of thematic and rhematic organization in respect of text composition; introduces the rules of sentence modeling and sentence models specific for the German language; describes specific sentences structurally as well as in respect of text genres.

Volume IV (Syntax II) is about a complex sentence. Simultaneously with compound and complex sentences it also discusses compound-complex sentences – periods in terms of structural, as well as logical-semantic and communication purposes; discuses general (formal, topological, structural, logical-semantic) principles of classification of independent clauses; describes separate syntactic and semantic types of independent sentences.

Volume IV also includes a detailed scientific-technical bloc about the work, covering the afterward, united contents, bibliography and hierarchy structure (unusual for Georgian readers), as well as a glossary of words and terms (in the Georgian and German languages).

As the author of the above mentioned book notes, the work has been built on a classical grammar model. The following is named as its theoretical premises: valence theory, grammar of direct components, generative grammar, functional grammar, as well as logical syntax and content-oriented grammar. To provide access to various linguistic phenomena, modern research methods have been used in the book (substitution, permutation, transformation, paradigm restoration, as well as the tests of semic-component analysis, semantic selection, paraphrasing, etc.). Through a morphosyntax form of delivering the material, the author manages to submit linguistic phenomena to the readers simultaneously in paradigmatic and

მარინა (მარიკა) ანდრაზაშვილი
Marina (Marika) Andrazashvili

თსუ პროფესორი, დოქტორი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი; გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი (გერმანისტული ლინგვისტიკის განხრით). მრავალი პუბლიკაციის ავტორი საქართველოსა და უცხოეთში, რედაქტორი და რეცენზენტი წიგნებისა გერმანისტიკის განხრით; ძირითადი ნაშრომი "გერმანული ენის გრამატიკის" ოთხტომეული; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე (გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიაში, იტალიაში...). გრძელვადიანი შემოქმედებითი მივლინებები გერმანულენოვან ქვეყნებში; ლექციების კურსები გრამატიკის თეორიაში ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. თანამშრომლობა საერთაშორისო პროექტებში მანჰაიმის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტთან, ბერლინის ორიენტალისტიკის ინსტიტუტთან და მიუნსტერის ტოპონომასტიკურ ცენტრთან. საინფორმაციო-საკვალიფიკაციო სემინარების ხელმძღვანელობა საქართველოს უნივერსიტეტების გერმანისტ-პედაგოგთათვის.
საერთაშორისო ჟურნალ Germanistische Studien-ის თბილისის ფილიალის სარედაქციო კოლეგიის წევრი; ვისბადენის გერმანული ენის საზოგადოების (ფდშ) თბილისის ფილიალის თავმჯდომრის მოადგილე.

TSU Professor, Dr; Faculty of Humanities; Educational-Scientific Institute of Western European Philology; Department of German Philology (German linguistics). She is the author of many publications both in Georgia and outside its limits; editor and reviewer of the books about German studies; main work – German Grammar in Four Volumes; reports at international conferences and symposiums (in Germany, Austria, Norway, Italy); long-term creative trips in the German-language countries; lectures in the theory of grammar at the Free University of Berlin; cooperation in international projects with the Manheim Institute of German Linguistics, Berlin Oriental Institute and Münster Toponomastic Center. She also led the information-qualification courses for German language lecturers from the Georgian universities; member of the editorial board of Georgian branch of the international journal Germanistische Studien; deputy chairperson of the Tbilisi office of the Wiesbaden German Language Society (GfdS).

ულების წინადადებებს სტრუქტურულად, ისევე როგორც ტექსტის ჟანრებთან მიმართებაში.

მეოთხე ტომი (სინტაქსი II) რთულ წინადადებას ეძღვნება. იგი განიხილავს რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების/კომპლექსების პარალელურად ასევე მრავალგზის გართულებულ წინადადებებს – პერიოდებს როგორც სტრუქტურული, ისე ლოგიკურ-სემანტიკური და საკომუნიკაციო დანიშნულების კუთხით; მსჯელობს დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციის ზოგად (ფორმალურ, ტოპოლოგიურ, სტრუქტურულ, ლოგიკურ-სემანტიკურ) პრინციპებზე; აღწერს დამოკიდებულ წინადადებათა ცალკეულ სინტაქსურ-სემანტიკურ ტიპებს (წევრ-წინადადებას, წევრის ნაწილ-წინადადებასა და მირთულ წინადადებას; ვალენტობით შეპირობებულსა და ვალენტობისგან დამოუკიდებლად არსებულს, გარემოებითს და ა.შ.).

მეოთხე ტომს დართული აქვს ასევე მთელი ნაშრომის მიმართ შედგენილი დაწვრილებითი სამეცნიერო-ტექნიკური კორპუსი, რომელიც მოიცავს: ბოლოთქმას (გერმანულ ენაზე), გაერთიანებულ სარჩევს, ბიბლიოგრაფიასა და იერარქიული სტრუქტურის/სამსაფეხურიან (ქართველი მკითხველისთვის რამდენადმე უჩვეულო), ერთდროულად შიდაანბანური და თემატური პრინციპის დაცვით აგებულ სიტყვათ- და ტერმინთსაძიებლებს (ქართულსა და გერმანულ ენებზე).

როგორც ზემოხსენებული ოთხტომეულის ავტორი აღნიშნავს, ნაშრომი აგებულია კლასიკური გრამატიკის მოდელზე. მის თეორიულ წანამძღვრებად სახელდება: ვალენტობის თეორია, უშუალო შემადგენელთა გრამატიკა, გენერატიული გრამატიკა, ფუნქციონალური გრამატიკა, ასევე ლოგიკური სინტაქსი და შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკა. ცალკეულ ენობრივ კანონზომიერებებში წვდომის მიზნით წიგნში შესაბამისად გამოყენებულია კვლევის თანამედროვე მეთოდები (სუბსტიტუციის, პერმუტაციის, ტრანსფორმაციის, პარადიგმის აღდგენის..., ისევე სემურ-კომპონენტური ანალიზის, სემანტიკური სელექციის, პერიფრაზირებისა და ა.შ. ტესტები). მასალის მიწოდების მორფოსინტაქსური ფორმით ავტორი აღწევს, ენობრივი მოვლენები წარუდგინოს მკითხველს პარალელურად პარადიგმატულსა და სინტაგმატურ განზომილებებში; ნაშრომის აგების ძირითადად დესკრიპტიული/აღწერილობითი ხასითი გარკვეულწილად დაქვემდებარებულია პრესკრიპტიულობის/ნორმატიულობის პრინციპებისადმი, რათა საშუალება მიეცეს ენის შემსწავლელს, სწორი/მისაღები/სასურველი ენობრივი ფორმები გამიჯნოს არასწორისა თუ ნაკლებსასურველისგან, გააცნობიეროს მათი სტილური სტატუსი და ადეკვატურად გამოიყენოს ისინი ტექსტში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნაშრომი კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებს ეფუძნება, კერძოდ კი უშუალოდ ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებითი კვლევისას გამოვლენილ ენობრივი ინტერფერენციისა და ტრანსფერენციის მომენტებს, მაგრამ გარკვეულ მოსაზრებათა გამო, შეგნებულად არიდებს თავს ენობრივ მოვლენათა პარალელურ აღწერას. ნაცვლად ამისა ის ახდენს — შემსწავლელი კოლექტივის მშობლიური ენის სისტემისა და შემსწავლელთა მიერ სკოლაში ენების (ქართულის, რუსულის, ინგლისურის, ფრანგულის) შესწავლისას დაგროვებულ პრაქტიკულ ენათმეცნიერულ გამოცდილებაზე დაყრდნობით — ქართულენოვან აუდიტორიაში მოსალოდნელ შეცდომათა პროგნოსტიცირებადიაგნოსტიცირებას და პოულობს მათი დაძლევის პრაქტიკულ გზებს.

მკითხველისთვის თავისთავად, უკვე სიახლეა „გერმანული ენის გრამატიკის" ოთხტომეული, რადგან ანალოგიურად სრულყოფილი ნაშრომი აქამდე არ არსებობდა, მითუმეტეს, თუ იმასაც ვიტყვით, რომ წიგნი შედგენილია თანამედროვე გერმანისტული ლინგვისტიკის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით. ნაშრომის ინოვაციურობის განმაპირობებელია ასევე მისი მეთოდოლოგიური საფუძველი, ანუ, აგება კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე ენობრივი ინტერფერენციისა და ტრანსფერენციის მომენტების გათვალისწინებით; სიახლეა ისიც, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ბევრი საკითხი (მაგ.: თავისებური აგებულების წინადადებების ფუნქციონირების დახასიათება ტექსტის ჟანრებთან მიმართებაში; ნაწილაკებისა და შორისდებულების სემანტიკურ-სტილური ნიუანსების წარმოჩენა მათი ურთიერთგადაკვეთის სფეროების გათვალისწინებით და ა.შ.) უცხოელთათვის შედგენილ ანალოგიური ტიპის გრამატიკებში, როგორც წესი, მხოლოდ გაკვრით, არაექსპლიციტურად არის მოწოდებული, თუ არ ვიტყვით, რომ მეტწილად იგნორირებულია.

ნაშრომი ასევე პირველად გვთავაზობს საკუთრივ გერმანულ ენობრივ მოვ-

ლენათა აღმნიშვნელი ტერმინებისთვის ზუსტად მისადაგებულ ქართულ ეკვივალენტებს, რომელთა გადმოსაცემადაც ქართული გერმანისტიკა მანამდე აღწერილობით ფორმებს მიმართავდა; და ეს გაკეთებულია არა გერმანულ ტერმინთა ძალდატანებითი, სიტყვასიტყვითი გადმოქართულების ხარჯზე, არამედ მეტწილად მათი რეფერენციალური მნიშვნელობიდან ამოსვლის გზით.

ახალია საილუსტრაციო მასალის ბლოკებად დალაგებისა და სირთულის პროგრესირების გათვალისწინებით მიწოდების ფორმაც, ისევე როგორც (მკითხველისთვის მოტივაციის გაზრდის მიზნით) თვით ნიმუშთა თემატურ-ჟანრობრივი მრავალფეროვნება და ინფორმაციული სისავსე გერმანულენოვანი სამყაროს რეალიებთან მიმართებაში.

ნაშრომი, მისი ფუნქციური დატვირთულობიდან — მონოგრაფიული, საცნობარო და სახელმძღვანელო ხასიათიდან — გამომდინარე, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ენის თეორიულ ასპექტებზე მომუშავე მკვლევართა, ისე გრამატიკული ცოდნის პრაქტიკულად დაუფლება-სრულყოფის მსურველთა მიერ. უშუალო მიზნობრივ ჯგუფად მოიაზრებიან უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალური ანუ გერმანისტიკის განხრის სტუდენტები, თუმცა ის ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს არასპეციალური (ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო...) განხრის სტუდენტების მიერ სწავლების ყველა დონეზე, თარჯიმან-მთარგმნელებისა და საზოგადოდ, ენით დაინტერესებული მოზრდილი ასაკის არადამწყები ნებისმიერი შემსწავლელის მიერ.



syntagmatic dimensions; a descriptive nature of composing the work is largely determined by prescriptive/normative principles so that to enable a language learner to separate correct/acceptable/desirable language forms from incorrect and less desirable ones, realize their stylistic status and use them in a text properly.

From methodological point of view, the work is based on the principles of contrast linguistics, particularly on the linguistic interference and transference moments identified during the comparison research of Georgian and German languages; but because of certain assumptions, it deliberately avoids parallel description of linguistic phenomena. Instead of it, based on the practical linguistic experience gained by the learners while studying the languages at schools (Georgian, Russian, English, French), it prognosticates and diagnoses possible mistakes in a Georgian language auditorium and finds the practical ways of their overcoming.

German Grammar in Four Volumes is already a novelty for the readers, because no similarly perfect work has been conducted previously, especially as the book has been created on the basis of the modern achievements of contemporary German linguistics. The innovative nature of the work is also determined by its methodological basis, i.e. building it on the principles of contrast linguistics taking into consideration the interference and transference moments. Another novelty of the book is that as a rule, many issues (such as characteristic of different sentences in respect of text genres; identifying the semantic-stylistic nuances of particles and interjections taking into account the spheres of their intersection, etc) are described in similar grammar books designed for foreigners inexplicitly, if not neglected at all.

The work also offers the first-ever Georgian equivalents to the terms defining German linguistic phenomena. Previously, German studies in Georgia used description forms to present them. And it has been done not at the expense of direct translation into Georgian, but mostly based on the references.

The form of placing illustration materials by blocs and delivering information by difficulty progression is also quite a new thing, as well as the thematic-genre diversity (in order to increase motivation for the readers) and informative fullness in respect of the realities in the German-language world.

The book, owing to its functional importance – monographic and guidance nature – can be used by the researchers working over the theoretical aspects of the language as well as by those persons, who want to improve their German grammar skills. The students from the faculty of German studies are discussed as a direct target group. However, the book can also be used by the students of other faculties at any level of studies, as well as by translators-interpreters and any adults interested in improving their language skills.